საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №273

12 ივნისი 2014 თბილისი, საქართველო

2014 წლის 12 ივნისს 12:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, მარინა მუსხელიშვილი, ნათელა სახოკია, ქეთევან მსხილაძე, ლელა გაფრინდაშვილი, გიორგი კოხრეიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმდინარე სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ;

2. გარე აუდიტის შესახებ.

3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედის 2 წელიწადში ერთხელ როტაციის წესით შეცვლის შესახებ.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავჯდომარის მოწვევით ესწრებოდნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ელენე მიხაილოვა. სხდომას ესწრებოდა, ასევე, ინტერპრესნიუსის პროექტის media.ge-ს ჟურნალისტი გელა ბოჩიკაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ ახალი შემადგენლობით სამეურვეო საბჭო თვეზე მეტია, რაც ასრულებს მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებას. ამ მოკლე დროის განმავლობაში საბჭოს ძირითადი საქმიანობა იყო არსებული სიტუაციის ანალიზი, რისთვისაც საბჭოს წევრები ეცნობოდენ დოკუმენტაციას და მართავდნენ შეხვედრებს მაუწყებლის თანამშრომლებთან. ეს სამუშაო ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, მაგრამ წინასწარი შედეგების შესაბამისად შესაძლებელია მიღებულ იქნას გადაწყვეტილება როგორც საბჭოს შემდგომი მუშაობის, ასევე მაუწყებლის დირექციის მიმართ საბჭოს მოთხოვნების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, საერთო აზრით, მაუწყებელს ძირეული რეფორმირება სჭირდება. მან არსებული დროის მონაკვეთი, სავარაუდოდ 2015 წლის დაწყებამდე, გარდამავალ პერიოდად გამოაცხადა და დასახა ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, მათ შორის მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მზადება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის, ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა.

საბჭომ კენჭი უყარა რეფორმის დაწყების გადაწყვეტილებას და ერთხმად მიიღო ეს გადაწყვეტილება.

საბჭომ დაავალა მაუწყებლის დირექტორს მიმდინარე წლის 1 ივლისამდე წარმოადგინოს ბიუჯეტის ახალი პროექტი, რომელიც ორიენტირებული იქნება მაუწყებლის რეფორმირების, და კერძოდ, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის საჭირო ამოცანების შესასრულებლად. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ დაევალოს მაუწყებლის გენერალურ დირექტორს მიმდინარე წლის 1 ივლისამდე დასამტკიცებლად წარმოადგინოს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი. საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხს სხდომაზე დამსწრე შვიდივე წევრმა დაუჭირა მხარი.

გრიგოლ გოგელია საგანგებოდ შეეხო გარდამავალ პერიოდში მაუწყებლის თანამშრომელთა დასაქმების საკითხებს. მან წარმოადგინა საბჭოს მიერ გაზიარებული მოსაზრება, რომ ამ პერიოდში მაუწყებლის თანამშრომლები მაქსიმალურად იყვნენ დაცული, როგორც სამუშაო ადგილების შენარჩუნების, ასევე, პროფესიული ზრდის და ახალი უნარების შეძენის თვალსაზრისით. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ რეფორმირების პროცესში ყველა თანამშრომელს მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება. მან თქვა, რომ მიუხედავად ორგანიზაციული სირთულეებისა, რაც ამ მნიშვნელოვანი პრინციპის ცხოვრებაში გატარებას მოჰყვება, საბჭო მზადაა შეასრულოს ეს გადაწყვეტილება.

გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ საბჭო საზოგადოებრივ მაუწყებელს განიხილავს, როგორ ერთ მთელს, რომელშიც გაერთიანებულია ორი სატელევიზიო, ორი რადიო და ვებ პორტალი. მან გამოთქვა სურვილი, რომ უახლოეს ხანში მათ დაემატოს ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო სიხშირე და მოხდეს ამ ყველაფრის ერთიან მულტიმედიურ სისტემაში მოყვანა. მან ეს საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. საბჭოს შვიდივე წევრი დაეთანხმა საბჭოს თავჯდომარის წინადადებას.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაუწყებლის ფუნქიურ ერთეულებთან დაგეგმილი შეხვედრები დაიწყოს მაუწყებლის არქივის თანამშრომლებთან შეხვედრით.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა მარინე მუსხელისშვილმა, ნათელა სახოკიამ, გიორგი კოხრეიძემ და ლელა გაფრინდაშვილმა. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ილაპარაკა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის მზადების შესახებ.

მეორე საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი გარე აუდიტის ჩატარების თაობაზე. მან განმარტა, რომ საბჭოს კანონით მაუწყებლობის შესახებ გარე აუდიტის ყოველწლიურად ჩატარების ვალდებულება აქვს. 2013 წლის აუდიტური შემოწმება არ მომხდარა. საბჭოსთვის აუცილებელია იმის ცოდნა თუ რა მდგომარეობაა ფინანსების ხაჯვის მხრივ მაუწყებელში. ამის გათვალისწინებით, მან მაუწყებლის შესაბამის სამსახურებს დაავალა 1 კვირის ვადაში ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება გარე აუდიტის ჩატარებისათვის ტენდერის გამოსაცხადებლად. მიმდინარე სხდომას იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ელენა მიხაილოვაც ესწრებოდა, მას დაევალა აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადების კოორდინაცია. საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხს - გარე აუდიტის ჩატარების აუცილებლობის შესახებ, სხდომაზე დამსწრე საბჭოს შვიდივე წევრმა დაუჭირა მხარი.

მესამე საკითხი

გრიგოლ გოგელიამ განმარტა, რომ მესამე საკითხი ეხება წილისყრის მეშვეობით საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადის განსაზღვრას. რადგან კანონი არ აკონკრეტებს როდის უნდა ჩატარდეს ეს წილისყრა, მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ წილისყრა ჩატარდეს მაშინ, როდესაც საბჭო მთლიანად იქნება დაკომპლექტებული, ე.ი. როცა პარლამენტი აირჩევს დარჩენილ ორ წევრს. ამ გადაწყვეტილების მიზანშეწონილების ერთ-ერთ მიზეზად მან დაასახელა საბჭოს მომავალი წევრების დანარჩენ წევრებთან არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების თავიდან არიდება. .

საკითხი გრიგოლ გოგელიამ კენჭისყრაზე დააყენა. საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხს სხდომაზე დამსწრე შვიდივე წევრმა დაუჭირა მხარი.

საბჭოს წევრმა გიორგი კოხრეიძემ წინადადებით მიმართა საბჭოს წევრებს, შედგეს შეხვედრა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებთან, სადაც მოხდება მათთვის საინტერესო და პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა, მათ შორის აჭარის ტელევიზიის ბიუჯეტის შესახებაც. გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ საბჭო მოემზადება შეხვედრისათვის. მან დაავალა აპარატის თანამშრომლებს აჭარის ტელევიზიის წარმოადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება.

სხდომაზე სიტყვა ითხოვა საბჭოს წევრმა ლელა გაფრინდაშვილმა. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა შედგეს თანამშრომლებთან შეხვედრის ცხრილი. ამ ცხრილის შედგენა დაევალა სამეურვეო საბჭოს აპარატის თანამშრომლებს. ლელა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ მაუწყებლის რეფორმის პროცესი უნდა იქნას მაქსიმალურად გამჭირვალე, რომ არ გაჩნდეს ზედმეტი კითხვები ამ პროცესის გარშემო.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა. საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ. .

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი